5-24

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის იანვრის 16.	№ 1 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 1. დებულება ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ.

„ 2. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის სასტანდარტიზაციო ფონდში 1927-28 წელს 0.25 პროც. გადარიცხვის შესახებ.

„ 3. უმუშევრობისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესების ა/კსფსრ-ში სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 4. ჭიათურის სადგურიდან საქართველოს შავიქვის საწყობებთან ვაგონების მიყენებისათვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფების შემოღების ვადების შეცვლის შესახებ და იზოტერმიული ვაგონების გამოთხოვისათვის არსებული საწინდრის გადიდების შესახებ.

„ 5. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დროებითი მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების თაობაზე“ 1927 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წ. ოქტომბრის 7-ს თარიღითა და 5 №-რით გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ.

„ 6. იმ სასეზონო სამუშაოთა სიის დამტკიცების შესახებ, რისთვისაც შესაძლებელია გადიდებული სამუშაო დღის შემოღება.

„ 7. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წ. სექტემბრის 8-ს თარიღითა და 67 №-რით გამოცემული სასეზონო სამუშაოთა ნუსხის დამატების შესახებ.

„ 8. სამთო სამუშაოთა წარმოების უშიშროების წესების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„ 9. შინამრეწველთა, ხელოსანთა, სასარეწაო კოოპერატივებისა (ამხანაგობების) და შრომის არტელების წევრთა მიერ სასწავლად აყვანილ შეგირდებთან დადებულ ხელშეკრულობათა მოქმედების ვადების შესახებ.

„ 10. სავაპრო საწარმოში საჩივრის დავთრების შემოღების შესწ̆ბ.

„ 11. სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასეზონო სამუშაოთა ნუსხების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. დებულება ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. დეკემბრის 26. ტფილისი—სასახლე.

დებულება ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაეკისრება მოაწესრიგოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მთლად სტატისტიკის საქმე, საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს საერთო-საკავშირო და საამიერკავკასიო ერთიანი გეგმებით გათვალისწინებულ სტატისტიკურ მუშაობას და გააერთიანოს იგი, აგრეთვე უშუალოდ განახორციელოს, ამა დებულების თანახმად, სტატისტიკური ოპერაციები.

2. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აქვს ყველა ის უფლება, რაც, სსრკ და ა/კსფსრ კონსტიტუციებისა (ძირითადი კანონების) და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების თანახმად, ეკუთვნის ა/კსფსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს.

3. საერთო-საკავშირო სტატისტიკური მუშაობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე სწარმოებს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მეშვეობით, სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დირექტივების მიხედვით, ამ სამმართველოს დებულების თანახმად.

4. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო თავის და სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალებებს და დირექტივებს გა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახორციელებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამსართველოების მეშვეობით.

5. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აქვს საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატის უფლებანი, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების მმართველებს—საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატის რწმუნებულების უფლებანი:

ა) საერთო-საამიერკავკასიო აღწერათა წარმოებისა და შემუშავებისათვის;

ბ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალურ დავალებათა შესრულებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებულია სათანადო დავალების შესრულება ამა მუხლის წესისამებრ.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც სრულიად საკავშირო აღწერათა წარმოებისა და შემუშავებისათვის, აგრეთვე სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დავალების შესრულებისათვის ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველს მინიჭებული აქვს სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რწმუნებულის უფლებანი,—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების მმართველთ მიენიჭებათ ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის რწმუნებულთა უფლებანი.

II. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობის საგანი.

6. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) განახორციელოს ა/კსფსრ საბჭოთა ყრილობებისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი სტატისტიკის საკითხების გამო; ზედამხედველობა გაუწიოს ამ დადგენილებათა აღსრულებას; შეასრულოს სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალებანი; ზედამხედველობა გაუწიოს ამ დავალებათა აღსრულებას და ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალებათა აღსრულებას.

ბ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების მოქმედებას;

გ) შეადგინოს საერთო-საამიერკავკასიო საპერსპექტივო და წლიური გეგმები და წარუდგინოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით, ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს;

დ) განახორციელოს და შეიმუშაოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სრულიად საკავშირო და საერთო-საამიერკავკასიო აღწერები, შეადგინოს მთლად ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ბალანსი და პურ-ფურაჟის ბალანსი და სასოფლო, მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის სხვა პროდუქტების ბალანსები, აგრეთვე შეასრულოს სხვა საერთო-საკავშირო და საერთო-საამიერკავკასიო მნიშვნელობის სამუშაო.

შენიშვნა. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობას საერთო-საკავშირო აღწერების წარმოებასა და შეგროვილი მასალის შემუშავებაში, აგრეთვე სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის მიცემულ სპეციალურ დავალებათა აღსრულებაში განსაზღვრავს თვითეულ ცალკე შემთხვევაში სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ე) დაამტკიცოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა, აგრეთვე საერთო-საამიერკავკასიო მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალების შეგროვებისა და შემუშავების პროგრამები და წესი;

ვ) დაამტკიცოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიერ წარმოებული სტატისტიკური მუშაობის პროგრამები და საორგანიზაციო გეგმები, უკეთუ ეს მუშაობა გათვალისწინებულია ერთიანი საერთო-საამიერკავკასიო გეგმით; წინასწარ განიხილოს და დასკვნა მისცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკების მთავრობათ იმ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამებისა და საორგანიზაციო გეგმების თაობაზე, რაც ამ რესპუბლიკების ინიციატივით წარმოებულ უნდა იქნეს საერთო-რესპუბლიკანური მასშტაბით, უკეთუ აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებული არ არის საერთო-საამიერკავკასიო გეგმით;

ზ) შეჯუმლოს და დაამუშაოს საერთო-საამიერკავკასიო მასშტაბით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოებისა, ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებებისა, აგრეთვე საერთო-საამიერკავკასიო მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ შეგროვილი და შემუშავებული სტატისტიკური მასალები;

თ) დაადგინოს და სავალდებულო ხელმძღვანელობისათვის მისცეს როგორც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების ორგანოებს, ისე სხვა, საერთო-საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას სტატისტიკური მასალების შეგროვებისა და შემუშავების რაც შეიძლება უფრო სრულყოფილი მეთოდოლოგიური ფორმები, აგრეთვე მიიღოს ღონისძიებანი სტატისტიკური მუშაობის ტეხნიკის რაციონალიზაციისათვის;

ი) განახორციელოს ღონისძიებანი სტატისტიკის ცოდნის გავრცელებისათვის და სტატისტიკაში მომუშავეთა კადრის მომზადებისათვის, კერძოდ, მოაწყოს სტატისტიკის სამეცნიერო დაწესებულებები, სტატისტიკის კურსები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვ.;

კ) მიაწოდოს სტატისტიკური ცნობები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეკითხვებზე, აგრეთვე ა/კსფს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ა/კსფსრ უწყებებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობების შეკითხვებზე, იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს არ მოითხოვს დამატებითი სტატისტიკურ მუშაობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) გამოსცეს ყოველწლიური სტატისტიკური კრებულები, ბიულეტენები და სხვა პერიოდული გამოცემები, აღწერისა და გამოკვლევების ცნობები, აგრეთვე ცალკე სტატისტიკურ-ეკონომიური კრებულები, მიმოხილვები, მონოგრაფიები და სხვა მეცნიერული და პოპულიარული ნაშრომები სტატისტიკის სფეროში;

მ) მოიწვიოს საერთო-საამიერკავკასიო სტატისტიკური ყრილობები და თათბირები;

ნ) დაამყაროს კავშირი უცხოეთის სტატისტიკურ ორგანიზაციებთან და წარმომადგენლობა ა/კსფსრ სახელით საერთაშორისო სტატისტიკურ ორგანიზაციებთან და ყრილობებთან.

7. დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფლება აქვს მოსთხოვოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირს მე-6 მუხ. „დ“ პუნ. გათვალისწინებულ სტატისტიკურ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ცნობებისა და მასალის წარდგენა ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

8. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, აგრეთვე კერძო საწარმო და პირი მოვალეა წარუდგინოს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფასოდ, ორ ცალად, მის მიერ გამოშვებული სტატისტიკური და სტატატისტიკურ-ეკონომიური გამოცემა, ერთი თვის ვადაზე გამოცემის გამოშვების დღიდან.

III. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტრუქტურა.

9. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სათავეში სდგას მმართველი. მმართველთან არსებობს ა/კსფსრ ცენტრალური სატისტიკური სამმართველოს კოლეგია.

10. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შედგენილობაში შედის:

ა) სტატისტიკური საგეგმო კომისია.

ბ) საადმინისტრაციო-საფინანსო სამმართველო.

გ) სოციალური სტატისტიკის სექტორი.

დ) სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სექტორი.

ე) მრეწველობის სტატისტიკის სექტორი.

ვ) შრომის სტატისტიკის სექტორი.

ზ) აღებ-მიცემობის სტატისტიკის სექტორი.

ამის გარდა, ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებობენ: ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად მომქმედი სარედაქციო კოლეგია და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამფასებელი საექსპერტო საბჭო, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედობს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

შენიშვნა. სტატისტიკური საგეგმო კომისია მოეწყობა სტატისტიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების პერსონალური შერჩევის პრინციპზე და იმოქმედებს საუწყებო საგეგმო კომისიებისათვის დადგენილ საერთო საფუძველზე. სტატისტიკური საგეგმო კომისიის პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის წარდგენით.

IV. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილებათა გამგებლობის საგანი.

11. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—სტატისტიკური საგეგმო კომისიის ხაზით—დაეკისრება:

ა) შეადგინოს სტატისტიკურ სამუშაოთა საერთო-საამიერკავკასიო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება როგორც საერთო-საკავშირო, ისე საერთო-საამიერკავკასიო და რესპუბლიკანური მასშტაბის ძირითადი სტატისტიკური სამუშაოები, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი ორგანო და ორგანიზაცია შეასრულებს ამ სამუშაოებს;

ბ) დაამტკიცოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებისა, აგრეთვე საერთო-საამიერკავკასიო მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალის შეგროვებისა და შემუშავების პროგრამები და წესი;

გ) დაამტკიცოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიერ წარმოებული სტატისტიკური მუშაობის პროგრამები და საორგანიზაციო გეგმები, უკეთუ ეს მუშაობა გათვალისწინებულია ერთიანი საერთო-საამიერკავკასიო გეგმით; წინასწარ განიხილოს და დასკვნა მისცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ იმ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამებისა და საორგანიზაციო გეგმების თაობაზე, რაც ამ რესპუბლიკების მიერ წარმოებულ უნდა იქნეს საერთო-რესპუბლიკანური მასშტაბით, უკეთუ აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებული არ არის საერთო-საამიერკავკასიო გეგმით;

დ) შეადგინოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ბალანსი მთლად და აწარმოოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის დინამიკისა და კონიუნქტურის ჯუმლობითი სტატისტიკური მუშაობა;

ე) აწარმოოს უცხოეთის სტატისტიკის ცნობების შეჯუმლვა;

ვ) ურთიერთი მიმართვა იქონიოს უცხოეთის სტატისტიკურ დაწესებულებებთან.

შენიშვნა. სტატისტიკურ საგეგმო კომისიაში „ბ“ და “გ“ პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დროს კომისიის სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნენ სათანადო უწყებისა, საწარმოს და ორგანიზაციის წარმომადგენელნი, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წარმომადგენელნი—კუთვნილებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—საადმინისტრაციო-საფინანსო სამმართველოს ხაზით—დაეკისრება:

ა) აწარმოოს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საქმეების გამო საერთო მიწერ-მოწერა;

ბ) შეიმუშაოს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შტატები და აწარმოოს ამავე საამართველოს პირადი შედგენილობის აღნუსხვა;

გ) შეადგინოს და შეასრულოს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხარჯთაღრიცხვები;

დ) განახორციელოს ღონისძიებანი ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტატისტიკური მუშაობის ტეხნიკის რაციონალიზაციისათვის;

ე) იქონიოს ზედამხედველობა სტატისტიკის საკითხების სფეროში ა/კსფსრ მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებათა და ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გაცემულ განკარგულებათა აღსრულებისათვის და მიიღოს, არსებული წესისამებრ, სათანადო ღონისძიებანი აღნიშნულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესასრულებლად;

ვ) განაგოს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საინფორმაციო ნაწილი;

ზ) განაგოს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამომცემლობის საქმე, ბიბლიოთეკა და არქივი;

თ) განაგოს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამეურნეო ნაწილი;

ი) განახორციელოს ღონისძიებანი სტატისტიკის ცოდნის გავრცელებისა და სტატისტიკაში მომუშავეთა კადრის მომზადებისათვის;

კ) მოაწყოს საერთო-საამიერკავკასიო სტატისტიკური თათბირები და ყრილობები.

13. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—სოციალური სტატისტიკის სექტორის ხაზით—დაეკისრება:

ა) გამოარკვიოს ა/კსფსრ მოსახლეობის რიცხვი და ამავე მოსახლეობის შედგენილობა დემოგრაფიული, ნაციონალური, სოციალური და პროფესიონალური ნიშნების მიხედვით;

ბ) აწარმოოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სტატისტიკა;

გ) აწარმოოს ა/კსფსრ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური შედგენილობის სტატისტიკა;

დ) აწარმოოს სახალხო განათლების სტატისტიკა;

ე) აწარმოოს დანაშაულობის სტატისტიკა;

ვ) შეიმუშაოს, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/სფსრ-ში) შეთანხმებით, სამხედრო სტატისტიკის მასალები;

ზ) აწარმოოს სახალხო ჯანმრთელობისა და სასანიტარო-სამედიცინო საქმის სტატისტიკა;

თ) აწარმოოს კომუნალური მეურნეობისა და საბინაო საქმის სტატისტიკა;

ი) აწარმოოს სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სექტორის ხაზით—დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს სოფლის მეურნეობის კონიუნქტურას, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების წლიურ ციკლსა და ნათესისა და ბალახეულობის მდგომარეობას;

ბ) შეისწავლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ელემენტები;

გ) გამოიანგარიშოს პურ-ფურაჟის ბალანსი, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ბალანსები და სოფლის მეურნეობის ბალანსი მთლიანად;

დ) შეისწავლოს სოფლის მეურნეობის დიფერენციაციისა და განზოგადოების პროცესები;

ე) შეისწავლოს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და ინტენსიფიკაციის პროცესები;

ვ) შეისწავლოს შრომის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში;

ზ) აწარმოოს გადასახლებისა და განსახლების სტატისტიკა;

თ) შეისწავლოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალების დაგროვების პროცესები, რაოდენობა და შედგენილობა;

ი) შეისწავლოს საგლეხო მეუნეობათა ბიუჯეტები და სოფლის მოსახლეობის საპირადო და სამეურნეო მოხმარების სფერო.

15. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—მრეწველობის სტატისტიკის სექტორის ხაზით—დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს მრეწველობის კონიუნქტურას;

ბ) შეისწავლოს სამრეწველო წარმოების ძირითადი ელემენტები;

გ) გამოიანგარიშოს სამრეწველო წარმოების ნატურალური და ფასობრივი მოცულობა, აგრეთვე მრეწველობის ცალკე დარგების ბალანსები და მთელი მრეწველობის ბალანსი ერთიანად;

დ) შეისწავლოს მრეწველობის კონცენტრაციის პროცესები, სამრეწველო წარმოების რაციონალიზაცია და რეკონსტრუქცია, აგრეთვე გამოარკვიოს მსხვილი და წვრილი მრეწველობის თანაფარდობა;

ე) შეისწავლოს მრეწველობაში კაპიტალების დაგროვების პროცესები, რაოდენობა და შედგენილობა;

ვ) აწარმოოს ყოველგვარი მშენებლობის სტატისტიკა;

ზ) შეისწავლოს შრომის ნაყოფიერებისა და მუშა-ძალის ღირებულების მოძრაობა.

16. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—შრომის სტატისტიკის სექტორის ხაზით—დაეკისრება:

ა) აწარმოოს დაქირავებულ მუშათა რიცხვისა და შედგენილობის სტატისტიკა;

ბ) შეისწავლოს პროლეტარიატის არსებობის მატერიალური პირობები, კერძოდ, სამუშაო ხელფასი, საბიუჯეტო ინდექსი, მუშათა და მოსამსახურეთა ბიუჯეტები;

გ) აწარმოოს სამუშაო დროისა და მუშა-ძალის გამოყენების სტატისტიკა;

დ) აწარმოოს შრომის ბაზრისა და უმუშევრობის სტატისტიკა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გამოიანგარიშოს შრომის ბალანსები;

ვ) აწარმოოს შრომის დაცვის სტატისტიკა;

ზ) აწარმოოს შრომის სფეროში აღძრული კონფლიქტების სტატისტიკა;

თ) აწარმოოს კოლექტიურ ხელშეკრულებათა სტატისტიკა;

ი) აწარმოოს პროფესიონალური მოძრაობის სტატისტიკა;

კ) აწარმოოს სოციალური დაზღვევის სტატისტიკა;

ლ) შეისწავლოს სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის სპეციალური პირობები.

17. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—აღებ-მიცემობის სტატისტიკის სექტორის ხაზით—დაკისრება:

ა) თვალუური ადევნოს გაცვლა-გამოცვლის კონიუნქტურას;

ბ) აწარმოოს საქონლის ფასების მოძრაობის სტატისტიკა და გამოიანგარიშოს ფასების ინდექსები;

გ) აწარმოოს ვაჭრობის ქსელის სტატისტიკა;

დ) აწარმოოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობისა და საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სტატისტიკა;

ე) გამოიანგარიშოს საქონლის მასსა და გამოარკვიოს ბაზრის ტევადობა;

ვ) შეისწავლოს ვაჭრობაში კაპიტალების დაგროვების პროცესები, რაოდენობა და შედგენილობა;

ზ) აწარმოოს სარკინისგზო, ჰაპანზიდვისა და წყლის ტრანსპორტის სტატისტიკა და გამოიანგარიშოს სატრანსპორტო ბალანსები;

თ) შეისწავლოს ტრანსპორტში კაპიტალების დაგროვების პროცესები, რაოდენობა და შედგენილობა;

ი) აწარმოოს სახალხო კავშირგაბმულობის სტატისტიკა;

კ) შეისწავლოს გადასახადებით დაბეგვრის საკითხები;

ლ) შეისწავლოს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტები;

მ) აწარმოოს ფულის ტრიალისა და საკრედიტო ოპერაციების სტატისტიკა;

ნ) აწარმოოს კოოპერაციის სტატისტიკა.

დადგენილება № 29 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სმრეწვ. და სსურსათო საქონ. სამმართველო)

1927 წ. დეკემბრის 28.

2. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის სასტანდარტიზაციო ფონდში 1927-28 წელს 0,25 პროც. გადარიცხვის შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნტ. თანახმად და სსრკ ვაჭრობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო კომისარიატის 1927 წ. ნოემბრის 5-ს თარიღის დადგენილების განსავითარებლად—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის ანარიცხი სასტანდარტიზაციო ფონდისათვის განისაზღვრება მანქანის ან იარაღის ფასის 0,25 პროც. რაოდენობით ფრანკო-სსრკ საბაჟო, უბაჟოდ.

2. საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის ფასის 0,25 პროც. ანარიცხის გამოიაგარიშებას აწარმოოებს შემომტანი ორგანიზაცია.

3. საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფასის ანარიცხს მანქანების შემომტანი ორგანიზაცია შეიტანს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე ანგარიშით სასტანდარტიზაციო ფონდში 30 დღის განმავლობაში საანგარიშო თვის გასვლის დღიდან.

4. ამა დადგენილების მე-2 მუხ. დაწესებული ანარიცხი მანქანებისა და იარაღის სასტანდარტიზაციო ფონდისათვის გავრცელებულ იქნეს შემდეგ მანქანებსა და იარაღზე:

ა) წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი: ცელი, ნამგალი, ორთითი, თოხი, ფოცხი, ცელის ამრიდებელი კვერკუტი, სალესავი აპარატი სამკალი მანქანის დანებისათვის;

ბ) მიწის დასამუშავებლად: გუთანი, ფარცხი, მიწის შემოსაყრელი, კულტივატორი, მარკოსი, საღარავი ნიადაგის დამუშავებისათვის;

გ) თესვისათვის: ყოველგვარი თესლისა და სასუქის სათესი, ლისტერი, ბუკერი, კარტოფილის სარგავი, ცოცხალი მცენარის სარგავი;

დ) სასთვლეები: სამკალ-სათიბი, სატკეპნელ-საგორავი, სამკალი მანქანა, ძნის საკრავი, ცხენიანი ფოცხი, თივის ასაბულულავებელი, თივის საშლელი, ჭარხლისა და კარტოფილის სათხრელი;

ე) ყოველგვარი პურეულისა, ზეთეული მცენარისა და ბალახეულის სალეწი და საცეხველი; ცხენით სამოძრავებელი და მისი გადამცემი დაზგა;

ვ) მარცვლის საწმენდელი: სასოფ.-სამეურნეო მნიშვნელობის მანქანა მარცვლის საწმენდად და დასახარისხებლად; კარტოფილის დამხარისხებელი;

ზ) საკვების დამმზადებელი მანქანები: ჩალის საკრელი, ზრედერი, ფესვის საკრელი, მარცვლის საძეკი, მარცვლის-სამსხვრევი, წეწონის-სამსხვრევი. საკვების-საორთქლი;

თ) სას.-სამ. პროდუქტების გადამმუშავებელი მანქანები: ფეტვის-საცეხვავი, სელის-სჯეჯკი, თესლის საწნეხი;

ი) საამოძირკვო მანქანა;

კ) სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველი მანქანები: სასხურავი, პულვერიზატორი;

ლ) რძის ინვენტარი, სეპარატორი, კარაქის სადღვებელი, ერბოს საკეთებელი;

მ) ტრაქტორზე მისაბმელი იარაღი სას.-სამეურნეო მნიშვნელობისა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წ. ნოემბრის 5-დან და ვრცელდება ყველა იმ გარიგებაზე, რაც აღნიშნული რიცხვის შემდეგ დაიდება.

6. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ ამა თუ იმ ცალკე რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გაჯინსკი.**

სამრ. და სასურ. საქონ. სამმართველოს
უფროსის მოადგილე **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **ბნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-2 (1668) №-ში 1928 წ. იანვრის 3-ს.

დადგენილება № 2 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. იანვრის 2.

3. უმუშევრობისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესების ა/კსფსრ-ში სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14-ს თარიღისა და 407 №-რის დადგენილება „უმუშევრობისათვის სოციალური დაზღვევის წესით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ" და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ 1927 წ. დეკემბრის 14-ს 406 №-რით დამტკიცებული „წესები უმუშევრობისათვის სოციალური დაზღვევის წესით დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ" (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ის 291, 292 და 293 №№-ში 1927 წ. დეკემბრის 21—23-ს).

2. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „უმუშევრობისათვის დახმარების მიცემის შესახებ" 1924 წ. ნოემბრის 22-ს თარიღითა და 139 N-რით გამოცემული დადგენილების 1, 2 და 28 მუხლები (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის „შრ. კანონმდ. ვესტნიკი"-ს 1924 წ. მე-14 №-რი).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ სოციალური დაზღვევის მთავარ
სამმართველოს უფროსის მოადგილე **თუშიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს მე-2 (1668) №-ში 1928 წ. იანვრის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის გამწესრიგებელი სხდომისა.

1927 წ. დეკემბრის 27 № 22-P.

4. ჭიათურის სადგურიდან საქართველოს შავიქვის საზოგადოების საწყობთან ვაგონების მიყენებისათვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფების შემოღების ვადების შეცვლის შესახებ და იზოტერმიული ვაგონების გამოთხოვისათვის არსებული საწინდრის გადიდების შესახებ.

გზათა სახალხო კომისარიატის სატარიფო კომიტეტის 1927 წ. ნოემბრის 11 თარიღის დადგენილებით დამტკიცებული 528 №-ის ტარიფისა და რკინის გზათა ცენტრალური სამმართველოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების 1927 წ. ივლისის 12-ს თარიღისა და 8301 №-რის დირექტივის თანახმად, შემდეგი ადგილობრივი ტარიფები სამოქმედოდ შემოღებულად ჩაითვალოს: 1) „ჭიათურის სადგურიდან საქართველოს შავიქვის საზოგადოების საწყობთან ვაგონების მიყენებისათვის“ (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 1607 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 21-ს)—1927 წ. ოქტომბრის 28-დან და 2) იზოტერმიული ვაგონების გამოსათხოვნელად არსებული საწინდრის გადიდებისათვის (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 1610 №ში 1927 წ. ოქტომბრის 25-ს)—1927 წ. ნოემბრის 25-დან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათა-
შორისო სატარიფო თათბ. თავმჯდ. მოადგილე **ტერმიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველის თან. აღმ., უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-2 (1668) №-ში 1927 წ. იანვრის 3-ს.

დადგენილება № 105 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. დეკემბრის 3.

5. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დროებითი მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების თაობაზე“ 1927 წ. 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წ. ოქტომბრის 7 თარიღითა და მე-5 №-რით გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დროებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების თაობაზე“ 1927 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წ. ოქტობრის 7-ს თარიღითა და მე-5 №-რით გამოცემულ ინსტრუქციას დაემატოს მე-8 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„8. განსაკუთრებულ შემთხვევაში საკონფლიქტო ორგანოებს უფლება აქვთ აღადგინონ გადაცდენილი ვადა არა-სამართლიანად დათხოვნისა და ანგარიშის გასწორების განსასაჩივრებლად, უკეთუ ამისათვის პატივსადები მიზეზი მოიპოვება, მაგალითად, ავადმყოფობა, მანძილი და სხვ.“

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრ. დაცვის განყ. გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-4 (1670) №-ში 1928 წ. იანვრის 5-ს.

დადგენილება № 86 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. ოქტომბრის 26.

6. იმ სასეზონო სამუშაოთა სიის დამტკიცების შესახებ, რისთვისაც შესაძლებელია გადიდებული სამუშაო დღის შემოღება.

სსრკ. შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. თებერვლის 23-ს თარიღისა და 42 №-რის და აპრილის 27-ს თარიღისა და 86 №-რის დადგენილებების თანახმად, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს: დამტკიცებულ იქნეს იმ სასეზონო სამუშაოთა შემდეგი სია, რისთვისაც შესაძლებელია გადიდებული სამუშაო დღის შემოღება:

1) მიწისა და საბალასტო სამუშაოზე, რაც წარმოებული იქნება სტიქიური უბედურებისა თუ საშიშროების თავიდან ასაცილებლად ან თვით ამ უბედურების დროს;

2) ყველა იმ სამუშაოზე, რაც წარმოებული იქნება თოვლის ნამქერების წინააღმდეგ საბრძოლველად, საგეგმო წესით შესასრულებელი სამუშაოს გარდა;

3) მდინარეზე თევზის სარეწაოში თევზის გაძლიერებული მოძრაობის დროს;

4) ზღვაზე სათევზაო სამუშაოში (თევზის სვლის დროს) სატრალლო ჭერის გარდა, აგრეთვე სანაპირო სამუშაოში საფაქტოროზე (სასარეწაო) თევზის საქონლის ალაგებისა და დამუშავებისათვის თევზის სვლის დროს;

5) სატელეგრაფო, სატელეფონო და სასიგნალიზაციო ხაზებისა და სადენის მოწყობისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოზე და კაბელის გაყვანაზე;

6) საქალაქო ტელეფონის ქსელისა და საქალაქთაშორისო ტელეფონის ხაზების მოწყობისა და კაპიტალური გადაკეთების გარე-სამუშაოზე;

7) მდინარისა და ზღვის საკვლევი სამუშაოზე, საადგილმამულო ქარავნებთან არსებულ გამომკვლევი პარტიების გარდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) მინდვრის სამუშაოზე, რაც დაკავშირებულია ყველა საკვლევო და კვლევა-ძიების საქმესთან (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1927 წ. სექტემბრის 8-ს თარიღისა და 67 №-რის დადგენილების მე-7 §-ს „ა“ პუნქტი.—„შრომის კანონმდებლობის ვესტნიკ“-ის 1927 წ. მე-17 №-რი).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგან. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **ხარაბაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე- 4 (1670) №-ში 1928 წ. იანვრის 5-ს.

დადგენილება № 79 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. ოქტომბრის 22.

7. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წ. სექტემბრის 8-ს თარიღითა და 67 №-რით გამოცემული სასეზონო სამუშაოთა ნუსხის დამატების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ—სასეზონო სამუშაოთა მე-9 №-რის ნუსხის დამტკიცების შესახებ—1927 წ. ივლისის 21-ს თარიღითა და 187 №-რით გამოცემული დადგენილებისა და სასეზონო სამუშაოთა მე-2 №-რის ნუსხის მე-4 მუხ. შეცვლის შესახებ—1927 წ. აგვისტოს 4-ს თარიღითა და 213 №-რით გამოცემული დადგენილების თანახმად,—ა/კსფსრ-ში მომქმედ სასეზონო სამუშაოთა სიას დაემატოს შემდეგი სამუშაოები:

§ 13. წყლით ხე-ტყის ჩამოტანის სამუშაოები:

ა) ორთქლით მავალი ნავეურკლითა და არა-ორთქლით მავალი ნავეურკლით ტყის გადაზიდვა;

ბ) სანაპირო და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაო წყლით ხე-ტყის ჩამოტანისათვის;

გ) სატყეო ნედლეულის გადაზიდვისა, დაწყობისა და გამოგორების სამუშაო.

§ 14. აგურხანებში საშენი და საგნელო აგურის დამზადების სამუშაოები:

ა) თიხისა და ქვიშის ამოღება;

ბ) ალიზის დამზადება, ჩამოყალიბება და გაშრობა;

გ) ალიზის გამოწვა ღრუ-ღუმლებში;

დ) აგურის ალაგება.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

საერთო-საორგ. განყოფ. გამგე **მელნიკოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **ხარაბაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-4 (1670) N-ში 1928 წ. იანვრის 5-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 116 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. დეკემბრის 20.

8. სამთო სამუშაოთა წარმოების უშიშროების წესების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. დეკემბრის 7-ს თარიღისა და 389 №-რის დადგენილება „სამთო სამუშაოთა წარმოების უშიშროების წესების შეცვლისა და დამატების შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

შრომის დაცვის განყოფ. გამგის თან. დრ. აღმასრ. **იაროსლავსკი.**

უფროსი სამთო-სატეხნიკო ინსპექტორი **სახელაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-5 (1671) №-ში 1927 წ. იანვრის 6-ს.

განმარტება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. აგვისტოს 17.

9. შინამრეწველთა, ხელოსანთა, სასარეწაო კოოპერატივებისა (ამხანაგობებისა) და შრომის არტელების წევრთა მიერ სასწავლად აყვანილ შეგირდებთან დადებულ ხელშეკრულებათა მოქმედების ვადების შესახებ.

რადგანაც შეკითხვები შემოდის შინამრეწველთა, ხელოსანთა, სასარეწაო კოოპერატივებისა (ამხანაგობებისა) და შრომის არტელების წევრთა მიერ სასწავლად აყვანილ შეგირდებთან დადებულ ხელშეკრულებათა მოქმედების ვადების თაობაზე, ამით განმარტება, რომ, ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სასარეწაო კოოპერაციაში და შრომის არტელში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან არსებული შეგირდობის შესახებ“ 1926 წ. მარტის 26-ს თარიღის წესების გამოცემამდე, აღნიშნული პირების მიერ დადებული ხელშეკრულებანი, როგორც იმ შეგირდების მიმართ, რომლებზედაც ეს წესები ვრცელდება, უკეთუ ხელშეკრულებანი, წესებთან შედარებით, შეგირდების შრომის პირობებს არ აუარესებენ, ისე ყველა დანარჩენი შეგირდების მიმართ, ძალაში რჩებიან მათში აღნიშნული ვადების მოქმედებამდე.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

საკ. ლაკკ. ა/კ. საკ. კომ. წარმომად. ა/კ. შრ. სახ. კ-ტში **დარახჩიევი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-5 (1671) №-ში 1927 წ. იანვრის 6-ს.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 22 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. სექტემბრის 7.

10. სავაჭრო საწარმოთათვის საჩივრის დავთრების შემოღების შესახებ.

ვაჭრობაში ბოროტმოქმედებასთან, შეუსაბამობასთან და სხვა უარყოფით მოვლენასთან ბრძოლისათვის, აგრეთვე ვაჭრობაში საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისათვის—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაეკალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო სავაჭრო და სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს, აგრეთვე საქონლის ბირჟას და ბაზრებში მოვაჭრეთა კომიტეტს იქონინოს საჩივრის დავთარი აღნიშნული საწარმოთა მუშტრების მიერ საჩივრებისა და ყოველგვარი სურვილის ჩასაწერად.

შენიშვნა. თაბხით და კარავში მოვაჭრენი, დროებით, განსაკუთრებულ განკარგულებამდე, განთავისუფლებულნი არიან საჩივრის დავთრის შემოღებისაგან.

2. საჩივრის დავთარი დანომრილი, ზონარგაყრილი და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ტეხნიკური ორგანოს ბეჭედ-დასმული უნდა იყოს.

3. ყველა მოქალაქეს შეუძლიან მის მიერ ამა თუ იმ საწარმოში შენიშნული ესა თუ ის უარყოფითი მოვლენა ვაჭრობის სფეროში ჩასწეროს ამ საწარმოს საჩივრის დავთარში.

შენიშვნა. ა) საქონლის ბირჟაზე მიმსვლელს შეუძლიან ყველა მის მიერ შენიშნული ნაკლულოვანება ბირჟაზე წარმოებული სავაჭრო ოპერაციებისა ჩასწეროს სავაჭრო ბირჟის საჩივრის დავთარში.

ბ) იმ მოვაჭრეთ, რომელნიც გაერთიანებულ არიან ბაზარში მოვაჭრეთა კომიტეტის მიერ, და ამ მოვაჭრეთა კლიენტურას შეუძლიანთ ყველა, მათ მიერ ვაჭრობის სფეროში შენიშნული ნაკლულოვანება ჩასწერონ თავიანთი საბაზრო კომიტეტის საჩივრის დავთარში.

4. ამა დადგენილებასთან დართული ფორმის საჩივრის დავთარი ინახება საწარმოს, საქონლის ბირჟის ან ბაზარში მოვაჭრეთა კომიტეტის სადგომში მუშტრისა და მომსვლელთათვის თვალსაჩინო ადგილას. პასუხისმგებლობა საჩივრის დავთრის შენახვისათვის დაეკისრება საწარმოს გამგეს; საქონლის ბირჟაზე და ბაზარში მოვაჭრეთა კომიტეტში ეს პასუხისმგებლობა საამისოდ გამოყოფილ პირს დაეკისრება.

5. იმ ადგილის ზემოდ, სადაც მოთავსებულია საჩივრის დავთარი, გამოფენილი უნდა იყოს ეს დადგენილება და აგრეთვე ეკიდოს პლაკატი წარწერით, ვის უნდა მიმართოს მსურველმა საჩივრის დავთრისათვის.

6. საწარმოს გამგე ან მისი მონაცვლე პირი, საბირჟო კომიტეტის მორიგე წევრი და ბაზარში მოვაჭრეთა კომიტეტის წარმომადგენელი მოვალეა მისცეს მომჩივანს ყველა საჭირო განმარტება, რაც-კი დაკავშირებულია იმ საჩივართან, რომლის ჩაწერასაც იგი აპირებს საჩივრის დავთარში.

7. უკეთუ საწარმოს გამგე ან მისი მონაცვლე პირი, საბირჟო კომიტეტის მორიგი წევრი და ბაზარში მოვაჭრეთა კომიტეტის წარმომადგენელი უარს იტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვის საჩივრის დავთარის მიცემაზე, მომჩივანმა, შეძლებისდაგვარად, უნდა მიმართოს მილიციის წარმომადგენელს და მისი მონაწილეობით შედგენილ უნდა იქნეს აქტი საჩივრის დავთარის მიუცემლობაზე. უკეთუ ასეთი აქტის შედგენა შეუძლებელი იქნება, მომჩივანმა თავისი საჩივრის შინაარსი და აგრეთვე საჩივრის დავთრის მიუცემლობის ფაქტი უნდა აცნობოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოს.

8. საჩივრის დავთარში ჩაწერილ ყველა საჩივარში აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს მომჩივნის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი; აგრეთვე მან საჩივარს ხელი უნდა მოაწეროს; უკეთუ საჩივარს მოწმეებიც უერთდებიან, მათაც უნდა აღნიშნონ თავიანთი სახელი, გვარი და მისამართი.

9. საჩივრის დავთრის გაფუჭებისათვის, ან ამ დავთარში შეურაცყოფელ და დავთრის დანიშნულების შეუსაბამო სიტყვების ჩაწერისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში.

10. ყველა, სათანადო წესით ჩაწერილ საჩივარს უნდა მოჰყვეს გადაწყვეტილება და პასუხი გამგეობისა ან იმ პირისა, რომლის გამგებლობაშიაც არის უწყებული საწარმო. საჩივრის პასუხი, მისი შინაარსის მიხედვით, ჯერ ერთი, მოთავსებულ უნდა იქნეს საჩივრის დავთარში ჩაწერილი საჩივრის გასწვრივ, მეორე—უნდა ეცნობოს მომჩივანს დავთარში აღნიშნული მისამართით.

11. საჩივარი განხილულ და პასუხი მიცემულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 2 კვირისა საჩივრის ჩაწერის დღიდან. სავაჭრო საწარმოს მიერ თავისი გამგეობისათვის საჩივრის დავთარში შეტანილი საჩივრების ინფორმაციის მიწოდება სწარმოებს გამგეობისაგან დადგენილი წესისამებრ.

შენიშვნა. საწარმოს სარევიზიო კომისია მოვალეა პერიოდულად, თვეში ერთხელ მაინც, შეამოწმოს—როდის და რა ღონისძიება იქნა მიღებული მომჩივნების მიერ შენიშნულ ნაკლულოვანებათა ასაცილებლად.

12. ის სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელთანაც კერძო მოვაჭრე დაკავშირებულია შეთანხმებით—განსაზღვრულ პირობებში სავაჭრო ოპერაციების წარმოების თაობაზე, მოვალეა თვალყური ადევნოს კერძო მოვაჭრის საჩივრის დავთარში ჩაწერილ საჩივრებს და კონტროლი გაუწიოს მის მიერ კერძო მოვაჭრისათვის საჩივრების გამო მიცემული დირექტივების შესრულებას.

13. ასლი ყველა იმ საჩივრისა და პრაქტიკული წინადადებისა—ადგილობრივი სავაჭრო აპარატის გაუმჯობესების შესახებ, რაც საქონლის ბირჟისა ან ბაზარში მოვაჭრეთა კომიტეტის საჩივრის დავთარში ჩაიწერება, ბირჟისა და კომიტეტის მიერ გაგზავნილ უნდა იქნეს შინა-ვაჭრობის ადგილობრივ ორგანოში.

14. საჩივრის დავთრის რევიზიის უფლება აქვს აგრეთვე ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ინსპექციას და მისვე ადგილობრივ განყოფილებას.

15. საჩივრის დავთრის შემოღების ვადად დაინიშნოს 1928 წლის იანვრის 25.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-11 (1677) №-ში 1928 წ. იანვრის 14-ს.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩივრის დავთრის ფორმა.

საჩივრისა და წინადადების ჩასაწერი დავთარი.

1. საწარმოს სახელწოდება (საქონლის ბირჟა, მაღაზია, საწყობი, საბაზრო კომიტეტი, სასადილო და სხვ.)...
2. საწარმოს სამყოფელი ადგილი. დაწერილებითი მისამართი (მაზრა, ქალაქი, სოფელი, სადგური და სხვ.)
3. დავთარი ესე აღნუსხულია (აღინიშნოს ორგანიზაციის სახელწოდება, შინა-ვაჭრობის ადგილობრივი განყოფილება და სხვ.)
4. დაწყებულია.
5. დამთავრებულია.

წელიწადი, თვე და რიცხვი	საჩივრის ან წინადადების შინაარსი	სავაჭრო საწარმოს, საბირჟო კომიტეტისა, ბაზარში მოვაჭრეთა კომიტეტის პასუხისმგებელი წარმომადგენლის ახსნა-განმარტება	პასუხის შინაარსი გამგეობისა ან იმ პირისა, რომლის გამგებლობაშიაც უწყებული საწარმოა. იმ ორგანოს შენიშვნები, რომელიც რევიზიასა და ინსტრუქტორობას აწარმოებს
1	2	3	4

დადგენილება № 67 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. სექტემბრის 8.

11. სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული სასეზონო სამუშაოთა ნუსხების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

1. სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული სასეზონო სამუშაოთა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 №№-ბის ნუსხების თანახმად, ა/კსფსრ-ში სასეზონო სამუშაოდ ჩაითვალოს შემდეგი სამუშაოები:

1. კარტოფილ-ფხეკის წარმოების საძუშაო:

ა) კარტოფილ-ფხეკის წარმოების ყველა სამუშაო;

2. საგრენაჟო წარმოება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) იხ. ა/კსფლრ შრომის სახალხო კ-ტის მიერ გამოცემული სოფლის მეურნეობის სასეზონო სამუშაოთა ნუსხა—ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1927 წ. მაისის 27-ს თარიღისა და 38 №-რის დადგენილების „აბრეშუმის სამუშაო"-ს კარში.

3. თვითნალექი მარილის ამოღების სამუშაო:

ა) მტრევა, ზვინებში ზიდვა, მარილის ჩაყრა.

4. სატერპენტინო წარმოება:

ა) მზადებითი სამუშაო ფისის ამოსაღებად;

ბ) ფისის ამოღება.

5. სათევზაო სასარეწაოების სამუშაო:

ა) მდინარის სათევზაო სასარეწაო იმ ადგილებში, სადაც თევზის ჭერა გრძელდება ექვს თვეზე არა უმეტეს ხანს;

ბ) სათევზაო სასეზონო სამუშაო (თევზის სვლის დროს) კასპიის ზღვაზე და შავზღვაზე და სევანის ტბაზე;

გ) სანაპირო სამუშაოები „ა" და „ბ" პუნქტებში აღნიშნულ სასარეწაოებში თევზის საქონლის დასამუშავებლად და ასალაგებლად თევზის სვლის დროს.

6. სამდინარეო და საზღვაო საკვლევო სამუშაოები:

ა) ყველა სამდინარეო და საზღვაო საკვლევო სამუშაო.

7. საირრიგაციო და სამელიორაციო სამუშაოები:

ა) მზადებითი სამუშაო (სამიწისმზომლო, სამიწათმოწყობო სამუშაო, აგრეთვე სამინდვრე სამუშაო), რაც დაკავშირებულია ყველა საკვლევო და კვლევა-ძიების სამუშაოსთან, როგორიც არის: ფარდულებისა, მარგილებისა და სამიჯნო ბოძების დამზადება, იარაღისა და ხელსაწყოს გადატანა, სამიჯნო ნიშნების მოწყობა, ფარდულების დადგმა, ტყეზე ბილიკის გაკაფვა;

ბ) მიწისა, საფაშინო, საბელტე და ხის სამუშაო;

გ) ფერდობების გამაგრება (ხეების ჩარგვა, დროებითი წყლის გადასაგდები საგუბრების გაკეთება და სხვ.);

დ) ზონდირობა და შურფობა;

ე) საბურღვო სამუშაო;

ვ) სახიმინჯო სამუშაო, ხიმინჯის მანქანით ჩარჭობის გამოკლებით;

ზ) ნაპირად და მინდვრად მიწის ზედაპირზე ქვის აკრეფა, დიდი ქვების მოგლეჯა და მტვრევა;

თ) საკვლევო და კვლევა-ძიების სამუშაოებთან პირდაპირ დაკავშირებული სამუშაოები;

ი) ჰიდრავლური ხსნარისა და ბეტონის დამზადება და ბეტონისა და ქვის წყობა (რეპერებისა, ბოძებისა და სამზომო ნიშნების ჩადგმის დროს და სხვა დამხმარე სამუშაოს შესრულება).

8. საფაშინო, საბელტე და დაგეგმვის სამუშაო.

9. დაშრობისა და მორწყვის სამუშაო და სადრენაჟო სამუშაო მე-7 მუხ. აღნიშნულ სამუშაოთა მოცულობით.

შენიშვნა. მე-7, 8 და 9 მუხ. ჩამოთვლილი სამუშაოები სასეზონო სამუშაოდ ჩაითვლება მხოლოდ ისეთ ადგილას, სადაც ეს სამუშაო შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 6 თვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მუშაობა მოღვარულ ადგილებში:

ა) თოვლის და ყინულის დახვეტა და ქარავნიდან მოღვარულ ადგილებში მიზიდვა.

11. კვერცხისა და ფრინველის დამზადების სამუშაო:

ა) კვერცხის საწყობში: კვერცხის მიღება, დახარისხება, ჩაფუთვა, ყუთების შეკვრა;

ბ) ფრინველის მკვებავ საწარმოში: ფრინველის მიღება, დაკვლა, გაპტყვნა, ფრინველის კვება და მოვლა, აგრეთვე მუშაობა ფრთისა და ბუმბულის შეგროვებისა, დახარისხებისა, ჩაფუთვისა და დატვირთვისათვის.

12. დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ზიდვის სამუშაოები:

დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ზიდვის სამუშაო იმ ძირითადი მუშაობის წარმოების დროს, რაც სასეზონო სამუშაოს ეკუთვნის, შესრულებულ უნდა იქნეს ძირითადი სასეზონო მუშაობის მწარმოებელი სამეურნეო ორგანოს ძალითა და სახსარით.

შენიშვნა. უკეთუ სამეურნეო ორგანო თანამიმდევრობით გადაიყვანს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოს შემსრულებელ მუშებსა და სატრანსპორტო საშუალებას სხვა სამუშაოზე, თუნდაც იგი სასეზონო ხასიათისა იყოს, ეს სამუშაო სასეზონო სამუშაოდ არ ჩაითვლება.

II. სხვა დანარჩენი სამუშაო, რაც აღნიშნულია სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასეზონო სამუშაოთა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 №№-ბის ნუსხებში, სახალხო კავშირგამბულობისა და სატრანსპორტო სამუშაოების გამოკლებით, ა/კსფსრ-ში სასეზონო სამუშაოდ არ ჩაითვლება და მასზე გავრცელდება შრომის კანონთა კოდექსისა და ამ კოდექსის განსანვითარებლად გამოცემულ კანონდებულებათა მოქმედება.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავ. საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-8 (1674) №-ში 1928 წ. იანვრის 11-ს.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 816. დაიბეჭდა 1.000C.